საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

MES 7 26 0000974914

N 135/2
2026 წლის 24 ივლისი ქ. თბილისი

2027-2025 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში შიდა მობილობის პროცესის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული ვადების განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 56–ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების, 57-ე მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის დრამისა და კინო-ტელე ფაკულტეტებზე შიდა მობილობის მსურველი სტუდენტების შემოქმედებით კონკურსზე რეგისტრაციის ვადა განისაზღვროს 2026 წლის 10 აგვისტოს 12:00 საათიდან 25 აგვისტოს 12:00 საათამდე.
2. შემოქმედებითი კონკურსის/ტურების (დრამისა და კინო-ტელე ფაკულტეტზე) ჩატარების ვადა განისაზღვროს 2026 წლის 26 აგვისტოდან 2 სექტემბრის ჩათვლით; შემოქმედებითი კონკურსის საბოლოო შედეგების გამოქვეყნება - 3 სექტემბერი.
3. სახელოვნებო მეცნიერებათა, მედიისა და მენეჯმენტის ფაკულტეტზე მობილობის მსურველ სტუდენტთა მიერ უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე www.tafu.edu.ge სასურველი საბაკალავრო პროგრამის ონლაინ განაცხადის შევსების ვადა განისაზღვროს 2026 წლის 1-5 სექტემბერი.
4. შესაბამისი კომისიების მიერ მობილობის მსურველთა საბუთების განხილვისა და საგანმანათლებლო ერთეულის/ფაკულტეტის მიერ სტუდენტებისათვის კრედიტების აღიარების, აღიარებული კრედიტების რაოდენობის გაცნობის და წერილობითი თანხმობის დადასტურების ვადად განისაზღვროს 2026 წლის 7-9 სექტემბერი.

5. შიდა მობილობის საბოლოო შედეგების გამოქვეყნება შესაბამის საგანმანათლებლო ერთეულზე/ფაკულტეტზე/პროგრამაზე - 2026 წლის 10 სექტემბერი.
6. შიდა მობილობის წესით სტუდენტთა სხვა სპეციალობაზე გადაყვანის შესახებ რექტორის ბრძანების გამოცემა - 2026 წლის 11 სექტემბერი.
7. შიდა მობილობის წესით სტუდენტთა სხვა სპეციალობაზე გადაყვანის შესახებ რექტორის ბრძანების პროექტის განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ელექტრონულად ასახვის ვადა: 2026 წლის 11 სექტემბერი.
8. საგანმანათლებლო ერთეულის/ფაკულტეტის/პროგრამის შეცვლის მსურველთა მიერ შეთანხმების (ძირითად ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე) გაფორმება მოხდება 2026 წლის 11 სექტემბრამდე.
9. დრამისა და კინო-ტელე ფაკულტეტების საბაკალავრო პროგრამებზე მობილობისთვის შემოქმედებით კონკურსში მონაწილეობის საფასური ერთ კონკრეტულ სპეციალობაზე შეადგენს 60 ლარს, ხოლო ერთზე მეტი სპეციალობის არჩევის შემთხვევაში, თითოეულზე ემატება 10 ლარი. აპელაციის საფასური - 40 ლარი.
10. ბრძანების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის რექტორის აპარატს.
11. ბრძანების ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსების და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისათვის გადაცემის უზრუნველყოფა დაევალოს უნივერსიტეტის კადრებისა და კანცელარიის სამსახურს.
12. ამ ბრძანებით გათვალისწინებული ჩარიცხვების რეესტრში ასახვა დაევალოს რეესტრის წარმოებაზე და მობილობაზე პასუხისმგებელ პირს.
13. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.
ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში, მისი გაცნობიდან 1 თვის ვადაში, შემდეგ მისამართზე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი № 64.

საფუძველი: უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის
უფროსის პროფ. ნ. გენგიურის 24.07.20265 წლის
სამსახურებრივი ბარათი MES 7 26 0000974527

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და
კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი
გიორგი შალუტაშვილი

ბიბლიოგრაფიული
მზაბეჭდსმეღია
ელექტრონული